

**The Issue of Ottoman Georgians in Akaki Tsereteli's Journalism  
("To Ottoman Georgians")**

ოსმალეთის ქართველების საკითხი აკაკი წერეთლის პუბლიცისტულ  
(„ოსმალეთის ქართველებს“)

**Dali Betkhoshvili**

Doctor of Philology, Associate Professor

Samtskhe-Javakheti State University

e-mail: [dali.betkhoshvili@yahoo.com](mailto:dali.betkhoshvili@yahoo.com)

Tel: +995 555 48 81 29

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6947-160X>

**Abstract:** In Akaki Tsereteli's rich artistic thought, a special place belongs to his important publicism, in which many pressing issues are brought to the fore, which shows the unified Georgian national spirit and must be considered in a single context to show the integrity of the country. This issue is discussed in Akaki Tsereteli's journalistic letter "To the Ottoman Georgians", written in 1875-77, where the issue of non-Muslim Georgians in one part of Georgia is conveyed with painful lines, but still it preserves the national spirit and is still Georgian in its essence.

Akaki Tsereteli talks about the issue of divided Georgianness in a journalistic letter to "Ottoman Georgians" and it shows Georgians who have different beliefs but are still united. According to the author's note, although the perverse fate has lost the nation's centuries-old unity, split it in two, separated it by faith, ... but the plague and the disease are still together, one and the same.

The issue raised by the author in the named journalistic letter was not only problematic and important in previous centuries, but even today it is painfully felt in the worldview of every Georgian and represents the pain of the whole country. This problem runs through the history of Georgia like a red line, having become its political, social, religious and cultural problem, it has also become the subject of modern research, which is still looking for ways to solve it.

Akaki Tsereteli's analytical journalistic letter clearly shows the belief that the religious condition, language, history... of the Ottoman Georgians are united and inseparable from the rest of Georgians and shows the indivisibility of the country and the nation on a unified national path.

Thus, Akaki Tsereteli's publicist letter to the "Ottoman Georgians" stands in the service of the idea of the national integrity of Georgia and aims at the way of the country's state settlement.

The topic is relevant and has great theoretical and practical value, as many of Akaki's journalistic letters are unstudied and need to be investigated in terms of the problems raised in them, the essence and purpose reflected in them. One of these problems is the analytical issue, which does not lose its relevance not only in Akaki's era, but also today, it needs to be revived, looked at and analyzed with new eyes. The problem, of course, should be understood first of all in a unified national perspective, which should also be considered in the context of the Christian part of the whole world.

**Key words:** Akaki Tsereteli; Ottoman Georgians; Georgia; national pain; religion; culture.

#### დალი ბეთხოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: [dali.betkhoshvili@yahoo.com](mailto:dali.betkhoshvili@yahoo.com)

ტელ: +995 555 48 81 29

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6947-160X>

**აბსტრაქტი:** აკაკი წერეთლის მდიდარ მხატვრულ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მის მნიშვნელოვან პუბლიცისტიკას, რომელშიც არაერთი საჭირობოროტო საკითხია წინა პლანზე წამოწეული, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი. ეს საკითხი განხილულია აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“, დაწერილი 1875-77 წლებში, სადაც მტკივნეული შტრიხებით არის გადმოცემული საქართველოს ერთი კუთხის ქართველთა გამაჰმადიანების საკითხი, მაგრამ მაინც ეროვნულ სულს რომ ინარჩუნებს და თავისი არსით კვლავ ქართულია.

პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ აკაკი წერეთელი საუბრობს გახლეჩილი ქართველობის საკითხზე და მასში ახლა სხვადასხვა რწმენის მატარებელი, მაგრამ მაინც ერთიანი ქართველობაა ნაჩვენები. ავტორის შენიშვნით, მართალია უკუღმართმა ბედმა დაუკარგა ერს მრავალსაუკუნოვანი ერთობა, ორად გახლიჩა, სარწმუნოებით განასხვავა, მაგრამ ჭირი და ლხინი მაინც ერთადაა, ერთმოწილე.

დასახელებულ პუბლიცისტურ წერილში ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხი არა მარტო წინა საუკუნეებში იყო პრობლემატური და მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც მტკივნეულად განიცდება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში და მთლიანი ქვეყნის სატკივარს

წარმოადგენს. ეს პრობლემა წითელი ხაზით გასდევს საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრობლემად რომ იქცა, თანამედროვე კვლევის საგნადაც არის გადაქცეული, რომელიც კვლავ ეძიებს მისი მოგვარების გზებს.

აკაკი წერეთლის საანალიზო პუბლიცისტურ წერილში ნათლად იკვეთება რწმენა იმისა, რომ ოსმალეთის ქართველების სარწმუნოებრივი მდგომარეობა, ენა, ისტორია... ერთიანი და განუყოფელია დანარჩენი ქართველობისაგან და წარმოაჩენს ქვეყნისა და ერის განუყოფლობას ერთიან ეროვნულ გზაზე.

ამდენად, აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილი „ოსმალეთის ქართველებს“ საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეის სამსახურში დგას და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად.

თემა აქტუალურია და დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მომცველია, რამდენადაც აკაკის ბევრი პუბლიცისტური წერილი შეუსწავლელია და გამოკვლევას საჭიროებს მათში წამოჭრილი პრობლემების, მათში ასახული არსისა და დანიშნულების თვალსაზრისით. ამ პრობლემებიდან აღნიშნული საანალიზო საკითხიცაა, რაც არა მარტო აკაკის ეპოქაში, არამედ დღესაც არ კარგავს აქტუალობას, საჭიროა მისი ხელახლა გაცოცხლება, ახლებური თვალთ შეხედვა და გაანალიზება. პრობლემა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ერთიან ეროვნულ ჭრილშია გასააზრებელი, რაც მთლიანი სამყაროს ქრისტიანული ნაწილის კონტექსტითაცაა გასათვალისწინებელი.

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი წერეთელი; ოსმალეთის ქართველები; საქართველო; ეროვნული ტკივილი; რელიგია; კულტურა.

\*\*\*

**შესავალი:** აკაკი წერეთლის მდიდარ მხატვრულ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მის მნიშვნელოვან პუბლიცისტიკას, რომელშიც არაერთი საჭირობოროტო საკითხია წინა პლანზე წამოწეული, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი. ეს საკითხი განხილულია აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“, დაწერილი 1875-77 წლებში, სადაც მტკივნეული შტრიხებით არის გადმოცემული საქართველოს ერთი კუთხის ქართველთა გამაჰმადიანების საკითხი, მაგრამ მაინც ეროვნულ სულს რომ ინარჩუნებს და თავისი არსით კვლავ ქართულია.

აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტიკის ჟანრი განსხვავებული შტრიხებით გვაცნობს მწერალს, როგორც ერისა და ქვეყნის ჭირისუფალს, მისი ჯვარისმტვირთველისა და მოამაგის პიროვნებას. აკაკის შეხედულებები ხელახლა ცოცხლდება და მტკივნეულად წარმოაჩენს ოსმალთს

საქართველოს, ოსმალის ქართველების ჭირ-ვარამს, განსაცდელს, რომელიც კვლავ ხვალინდელი გზის ძიებაშია პრობლემის მოგვარების მიზნით. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ახლებური თვალთახედვით კიდევ ერთხელ იქნას დანახული და გააზრებული აღნიშნული საკითხი, პრობლემის არსი და მნიშვნელობა ერთიანი ეროვნული და გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით; საკითხის თანამედროვე კუთხით გააზრების საფუძველზე, ნაშრომი წარმოაჩენს იმ ეროვნულ მუხტს, რომელიც ერის ერთმთლიანობის საფუძველია.

ამდენად, ეს საკითხი სამეცნიერო დონეზე უნდა იქნას გამოტანილი და დღეს მისი განხილვა არა მარტო ჭრილობას აცოცხლებს, არამედ კურნავს კიდევ, ამიტომ სამეცნიერო აზრით მისი კვლავ გაცოცხლება და გააზრება დროულიცაა და აუცილებელიც. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ნაშრომის მნიშვნელობა და ღირებულება.

**წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა:** აჭარის საკითხი რომ ყოველთვის პრობლემატური, საინტერესო და მსჯელობის საგანი ხდებოდა, ჩანს როგორც მწერალ-პუბლიცისტთა ნააზრევში, ასევე მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებშიც, კერძოდ, აღნიშნულს გარკვეული ადგილი ეთმობა სერგეი მესხის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის და სხვა მოაზროვნეთა შემოქმედებაში. აჭარის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე კვლევები წარმოდგენილია პ. უმიკაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, მიხ. თამარაშვილის, ა. ახვლედიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა შრომებში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ კიკნაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის („აკაკი წერეთელი და ოსმალეთის ქართველობა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, 2014; „თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება“, წერილი 1; „თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია“, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV), დალი ბეთხოშვილის<sup>76</sup>, გურამ ბახტაძის („აჭარა XIX საუკუნის ქართულ

---

<sup>76</sup> იხ. აჭარის საკითხი შემდეგ კვლევებში: აჭარის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ვითარების თავისებურებანი ადიგენის მაღალმთიანეთში (რამდენიმე სოფლის მაგალითის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული „წელიწდეული“, XII, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება ცნობილ ქართველოლოგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სამოცი წლის იუბილეს, ქუთაისი, 2020 წ., გვ. 46-58.

აგრეთვე, დ. ბეთხოშვილი, აჭარის საკითხი ილია ჭავჭავაძის ნააზრევში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის

მწერლობაში“, დისერტაცია, თსუ, 2001), მაია არველაძის (აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი უცნობი დოკუმენტები (აკაკი და მაჰმადიანი ქართველები)“, ქართველური მემკვიდრეობა, XXIII, 2019), ლუკა დვალისშვილის („აკაკი წერეთელი და აჭარის შემოერთების პრობლემა“, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2010), ოთარ გოგოლიშვილის („აკაკი და აჭარა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, 2014) ორიგინალური შრომები, რომლებშიც ძალზედ აქტუალურად და საინტერესოდაა წამოჭრილი და გაანალიზებული არაერთი საკითხი: სწავლა-განათლების, რწმენის, ისტორიული, ეროვნული, კულტურის და სხვ. რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აჭარის რეგიონის შესახებ არსებული პრობლემების გასააზრებლად.

**მეთოდოლოგია:** კვლევის განხორციელებისთვის ნაშრომში გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა, ისტორიული-ლიტერატურული, ჰერმენევტიკული და ანალიტიკური კვლევის და შედარებითი ანალიზის მეთოდები, რომელთა მეშვეობით დამუშავდა აკაკი წერეთლის ნააზრევი აღნიშნულ საკითხზე განსახილველი წერილის მიხედვით, რათა გამოიკვეთოს ნააზრევი და დასკვნები კვლევის შესახებ, საკითხი გააზრებულ უნდა იქნას ერთიან ეროვნულ ჭრილში თანამედროვე პრობლემების კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ წარმოჩენას და შედეგების ჩამოყალიბებას.

**დისკუსია/შედეგები:** საკვლევ პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“<sup>77</sup> აკაკი წერეთლის მიერ წამოჭრილი საკითხი არა მარტო წინა საუკუნეებში იყო პრობლემატური და მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც მტკივნეულად განიცდება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში და მთლიანი ქვეყნის სატკივარს წარმოადგენს. ეს პრობლემა წითელი ხაზით გასდევს საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრობლემად რომ იქცა, თანამედროვე კვლევის საგნადაც არის გადაქცეული, რომელიც კვლავ ეძიებს მისი გადაჭრის გზებს.

აკაკი წერეთლის ნააზრევი მოიცავს პრობლემის კვლავ წამოწევისა და მოგვარებისათვის ბრძოლის პათოსს. ასეთ პუბლიცისტურ წერილებში, პირველ რიგში, ერის ავბედითი ისტორიაა გაცოცხლებული არდავიწყებისათვის და კვლავ დღის წესრიგში აყენებს და, მეორეც,

---

ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“, I, შრომების კრებული 2022 წ.

<sup>77</sup> აღნიშნული წერილის გარკვეული, ადრეულად მიჩნეული ნაწილი, განთავსებულია ა. წერეთლის თხზულებანი, 1988 წ. და დაწერის თარიღად მიწერილია 1880 წ., ხოლო მთლიანი სახით წერილი დაცულია აკაკის ახალ კრებულში „უცნობი პუბლიცისტიკა“, რომლის შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ ნაწილი პირველად ქვეყნდება.

აღნიშნული პრობლემა გადაჭრას მოითხოვს, რისთვისაც საჭიროა გარკვეული ეროვნული ცნობიერების ამაღლება, რათა მოძიებულ იქნას ის ნიადაგი, რომელიც იქნება მყარი საფუძველი საკითხის მოგვარების ფარგლებში.

გ. ბახტაძის აღნიშვნით, „მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა, მკითხველის ცნობიერებაში აჭარის საკითხის შემოტანის მიზნით, უპირატესობას პუბლიცისტურ სიტყვას ანიჭებს, რადგან ეს ჟანრი ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა მკითხველის ცნობისწადილს“ (ბახტაძე, 2001: 15).

ა. ნიკოლეიშვილის მოსაზრებით, „ოსმალეთის ქართველობისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ძირითადად ორი მიმართულებით წარმოჩნდა, პირველი, ამ იმპერიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მწერლის დამოკიდებულებითა და მეორე, სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებთან ურთიერთობით... ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველთა ხვედრით აკაკის განსაკუთრებული დაინტერესება, პირველ ყოვლისა, იმ დამოკიდებულებით გამოვლინდა, რასაც იგი ისტორიული ავბედობის გამო დედასამშობლოს მოწყვეტილ აჭარაში მცხოვრები ჩვენი თანამომხმეებისადმი იჩენდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. აჭარის პრობლემისადმი ამგვარი ინტერესი ა. წერეთელმა თავდაპირველად ამ მხარის შემოერთებამდე დიდი ხნით ადრე გამოხატა“ (ნიკოლეიშვილი, 2015: 253).

„მაჰმადიანი ქართველების საკითხის ირგვლივ დიდ ინტერესს იჩენდა აკაკი წერეთელი. პრაქტიკული საქმიანობის გარდა, პოეტი როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკაში, აღწერდა და აანალიზებდა საქართველოს გარეთ, განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფას. „ბაში-აჩუკში“ მან მძაფრი ფერებით დახატა სამშობლოდან ძალით წაყვანილი და შემდეგ მუსულმანების სამსახურში ჩამდგარი აბდუშაჰილის ფსიქოლოგიური პორტრეტი“ (არველაძე..., 2019: 12).

ლ. დვალიშვილის მოსაზრებით, „მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როგორც კი თურქეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, კერძოდ კი აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა, როგორც ირკვევა, აკაკი მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება და რეგულარულად გზავნიდა წერილებს ჯერ ქართულ, შემდეგ კი რუსულ პრესაში. „ისმაილ თამაზ ოღლის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა აკაკის წერილი „ბათუმი 17 სექტემბერს“ (დვალიშვილი, 2010: 65).

„აღსანიშნავია, რომ ისტორიულად აჭარამ სამსაუკუნოვანი მძიმე უღელი განიცადა თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკისაგან, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მათ რწმენას, ფიზიკურ არსებობას, ზნე-

ჩვეულებებს, ქართულ სამეცყველო ენას, კულტურას, რელიგიას... მაგრამ ამ უმძიმეს ვითარებას გაუძლო და ქართული სულით აღვსებულმა მაინც მოაღწია დღემდე; ამ დიდი ტკივილის დაღი, სამი მძიმე საუკუნის შემდეგაც, დღესაც ატყვია აჭარის მოსახლეობას..." (ბეთხოშვილი, 2020: 46).

პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ აკაკი წერეთელი საუბრობს გახლეჩილი ქართველობის საკითხზე, მასში ახლა სხვადასხვა რწმენის მატარებელი, მაგრამ მაინც ერთიანი ქართველობაა ნაჩვენები: „ჩვენო ერთო ტომო და ერთ მოგვარე ძმებო! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნოებითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთის ქვეშევრდომობით, მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით; ორგვარივე სისხლი სდულს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით; იგივე გული სძგერს ჩვენში, რომელიც ძველად ჩვენის ქვეყნის ერთობისათვის სიყვარულით იმსჭვალებოდა, – და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვამხნევეს, რომლითაც ჩვენ მაშინ ერთად გაუყოფლად ქვეყანაში ქებით ვიხსენიებოდით“ (წერეთელი, 1988: 490). აკაკი წერეთელი ოსმალეთის ქართველებს მიმართავს და აღნიშნავს, რომ: „დღესაც ჩვენ მივენდობით იმავე ერთს ღმერთს, რომელიც ადრე გვფარავდა. ჩვენა გვაქვს საერთო ისტორია, რომელიც საქართველოსადმი ღვაწლში თქვენ უფრო დიდ წილს გიძებს, როგორც შემხებს, მოსამძღვრეებს, – ის არ დაიკარგება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოებაშიც კი შეგინახავს...“ (წერეთელი, 1988: 490-491). აკაკის ნააზრევინიდან გამომდინარე, რაც უნდა სხვაობა არსებობდეს ბედკრულ ადამიანებსა და დანარჩენ ქართველებს შორის, ეს ერთიანობას ვერ დაარღვევს და ვერ მოშლის ძირშივე ფესვგადგმულ მათ ურყევს კავშირს.

აკაკი წერეთელი დროებით ცალცალკეობას, ორად, საერთო ქართულის ორად გაყოფას საერთო ბედისა და ძალის განახევრებად მოიაზრებს, რაც ჭირის გაორმაგებას და ლხინის განახევრებას იწვევს, მაგრამ ეს დროებითია, მომავალში ორივე ნაწილი მაინც შეეკავშირება ერთმანეთს და ერთ საერთო ეროვნულ სივრცეში განთავსდებიან.

აკაკი წერეთელი თავისი დაკვირვებული მახვილი თვალით ორივე მხარეს მოუწოდებს დაფიქრებისაკენ, რათა მოსალოდნელი და დასაშვები ომისა და შუღლის შემთხვევაში, მხარეებმა თავი მყარად უნდა დაიცვან და ერთმანეთის აოხრება არ უნდა მოინდომონ, წინაპართა გზა და ერთობა უნდა დაიცვან. აკაკი ამძაფრებს სათქმელს და აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში: „...ჩვენი წინაპრების ძვლები საფლავში შეიძვრიან!“ (წერეთელი, 2010: 64). აკაკის შენიშვნით, ორგულობის მიზეზი არავის აქვს და კიდევ უბრუნდება რწმენის საკითხს: „...საორგულოდ ის მიზეზი საკმაო

არ არის, რომ თქვენ მაჰმადიანები ხართ და ჩვენ ქრისტიანები. ღმერთი ერთი და იგივეა ყველასათვის, ის არის გამრჩევი ყველასი ზეცას და აქ არავის მართებს თავისთავად ამათ ანგარიში. ამ მიზეზებმა არ უნდა გაგვაორგულოს ერთმანეთზედ“ (წერეთელი, 2010: 64).

ავტორის შენიშვნით, მართალია უკუღმართმა ბედმა დაუკარგა ერს მრავალსაუკუნოვანი ერთობა, ორად გახლიჩა, სარწმუნოებით განასხვავა, ... მაგრამ ჭირი და ლხინი მაინც ერთადაა, ერთმოწილე: „...ჩვენ ერთი, ერთის ბედსქვემ უნდა ვიყოთ“ (წერეთელი, 1988: 490-491), - წერს აკაკი და გამოთქვამს იმედს, რომ „ველოდოთ საერთო კეთილდღეობას, მოვემზადოთ მისთვის და ბედი თვით გვიჩვენებს, სად და რა სჯობს ჩვენთვის“ (წერეთელი, 2010: 64).

აკაკი წერეთლის დასახელებულ პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ კიდევ ერთხელ მკვეთრად გამოიკვეთა ოსმალის საქართველოს წარმომადგენელთა სულიერ-მატერიალური, ეროვნული, კულტურული ღირებულებები: ენა, რელიგია, სამშობლოს სიყვარულის განცდა და ა. შ. რომელთა შესახებ არაერთი შეხედულებაა გამოთქმული, მაგრამ პრობლემა კვლავ არ კარგავს აქტუალობას და დღესაც ისტორიის თანამდევ ტკივილადაა გადაქცეული.

ამდენად, აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილი „ოსმალეთის ქართველებს“ საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეის სამსახურში დგას და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად, რამეთუ სახელმწიფოებრივი საკითხის მოწესრიგების გარეშე ქვეყანას ვერ ექნება პრეტენზია საერთო ევროპულ სივრცეში ღირსეული ადგილის დაკავებისა და დამკვიდრებისა, რომ მსოფლიო სივრცის ღირსეული წევრი გახდეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. არველაძე..., 2019: - არველაძე მაია, ზარდიაშვილი ელისაბედ, „აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები (აკაკი და მაჰმადიანი ქართველები), „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIII, თბილისი, 2019.

2. ბახტაძე, 2001: - ბახტაძე გიორგი, „აჭარა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში“, დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2001.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/March/dissertations/baxtadze-achara-disertacia.pdf>

3. ბეთხოშვილი, 2022: - ბეთხოშვილი დალი, „აჭარის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ვითარების თავისებურებანი ადიგენის მაღალმთიანეთში (რამდენიმე სოფლის მაგალითის მიხედვით)“, ქუთაისის



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული „წელიწდეული“, XII, ქუთაისი, 2020.

4. დვალიშვილი, 2010: - დვალიშვილი ლუკა, „აკაკი წერეთელი და აჭარის შემოერთების პრობლემა, „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, თბილისი, 2010.

5. ნიკოლიშვილი, 2015: - ნიკოლიშვილი ავთანდილ, „აკაკი წერეთელი და ოსმალეთის ქართველობა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VII, ქუთაისი, 2015.

6. წერეთელი, 1988: - წერეთელი აკაკი, „თხზულებანი, ლექსები, პოემები, დრამები ლექსად, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები“, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ჯენეტო ჭანტურიამ, თბილისი, 1988.

7. წერეთელი, 2010: - წერეთელი აკაკი, „უცნობი პუბლიცისტიკა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2010.

<https://literaturatmcodneoba.tsu.ge/ucnobi%20akaki.pdf>